საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №584
2014 წლის 4 აგვისტო

ქ. თბილისი

,,საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ფორმის ტანსაცმლისა და ატრიბუტიკის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №990 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და ,,საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,ა“ და ,,ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

,,საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ფორმის ტანსაცმლისა და ატრიბუტიკის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №990 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი 31/12/13, სარეგისტრაციო კოდი:140130000.22.034.016241) დამტკიცებულ დანართებში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. №7 დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. №11 დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

3. ბრძანებას დაემატოს 7^1 დანართი თანდართული რედაქციით.

4. ბრძანების №13 დანართს დაემატოს პლანშეტი 5^1 თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

შინაგან საქმეთა მინისტრი **ალექსანდრე ჭიკაიძე**